სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: ურბანისტიკა
Urbanism

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია: ურბანისტიკის დოქტორი (PhD in Urbanism)

სადოქტოროპროგრამისხელმძღვანელები: იოსებ სალუქვაძე, პროფესორი, თსუ;
ანტონიო კასტელბრანკო, პროფესორი, ლისაბონის უნივერსიტეტი, პორტუგალია

პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება - 60 ECTS:

სავალდებულო სასწავლო კომპონენტები - 40 კრედიტი:

- ✓ კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები- 5 კრედიტი
- ✓ დარგობრივი სემინარი - 5 კრედიტი
- ✓ პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი
- ✓ აკადემიური წერა - 5 კრედიტი
- ✓ სადოქტორო კვლევის/პროექტის დიზაინი - 10 კრედიტი
- ✓ კვლევის მეთოდები ურბანისტიკაში - 10 კრედიტი

არჩევითი სასწავლო კომპონენტები - 20 კრედიტი:

- ✓ ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა - 10 კრედიტი
- ✓ მეცნიერების მენეჯმენტი - 5 კრედიტი
- ✓ საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების თანამედროვე მეთოდები - 10 კრედიტი
- ✓ მონაცემთა ვიზუალიზაცია და ანალიზი გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების (გის) გამოყენებით - 10 კრედიტი

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს:

- ✓ სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1
- ✓ სამეცნიერო კვლევითი პროექტი 2
- ✓ სამეცნიერო კვლევითი პროექტი 3
- ✓ სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა.

სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1, 2 და 3 მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას მოიცავს და წარმოადგენს დაცვის წინაპირობას, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის დაცვისას გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება.

სადოქტორო პროგრამაზე სწავლება მინიმუმ ექვსი სემესტრია (3 წელი).

სწავლების ენა: ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ურბანისტიკის სადოქტორო პროგრამაში მონაწილეობის (განაცხადის/აპლიკაციის) შემოტანის უფლება აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხის (ან მასთან გათანაბრებული ხარისხის) მქონე პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ხარისხი არქიტექტურაში, ქალაქმშენებლობაში, საზოგადოებრივ გეოგრაფიაში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში, ეკონომიკაში, ლანდშაფტების შემსწავლელ მეცნიერებაში.
- კანდიდატს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში მოპოვებული უნდა ქონდეს საერთო ჯამში არანაკლებ 300 ECTS კრედიტისა.
- დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური სამეცნიერო ენისარანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება(შესაბამისი გამოცდის ჩაბარება ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატის წარმოდგენა). იმშემთხვევაში, თუდოქტორანტისამეცნიეროკვლევისემპირიულბაზადირჩევსინგლისურენასამუცხოურიენის C1 დონეზე ცოდნის დადასტურება.
- სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის (შესაბამისი ქვედარგის ხელმძღვანელის) თანხმობა;
- გასაუბრების შედეგების მიხედვით დოქტორანტურაში მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაცია.

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

ბოლონიის პროცესში და ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს ჩართვამ ახალი მოთხოვნილებების წინაშე დააყენა უმაღლესი განათლება. საჭირო გახდა ახალი ტიპის სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ სწრაფად ცვალებად გარემოში ახალი ორიენტირების, მოთხოვნილებებისა და პრობლემების შემოქმედებითად და დამოუკიდებლად გააზრებასა და გადაწყვეტას.
ბევრ ქვეყანაში ურბანიზაციის ტემპის სწრაფი ზრდისა და მსხვილი ქალაქების მასშტაბური ზრდის ფონზე ურბანისტიკა მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე პროგრესულად განვითარებადი დარგია, რომლის მიმართ განსაკუთრებულად მზარდი ინტერესი შეიმჩნევა. განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს ის ფაქტი, რომ უკანასკნელ წლებში ნათლად გამოიკვეთა ურბანისტიკის ინტერდისციპლინური ხასიათი, რაც გამოიხატება ურბანისტულ კვლევებში სხვადასხვა დარგების მიღწევათა (არქიტექტურა, გეოგრაფია, ეკოლოგია, ეკონომიკა, სოციოლოგია და მოსახლეობის დემოგრაფია) ფართო დანერგვით. ამავე დროს ურბანისტიკა ინარჩუნებს თავის ღრმა სოციალურ-ეკონომიკური კვლევის ასპექტებს არქიტექტურისა და ლანდშაფტური არქიტექტურის სფეროში.

საერთაშორისოდ აპრობირებული სტანდარტების შესაბამისად, ურბანისტიკა, როგორც დარგი,ითვალისწინებს საქალაქო საკითხების სპეციალისტის/ურბანისტის ინტელექტუალურ ზრდას, აკადემიური და კვლევითი რესურსების ურთიერთდაახლოებას, სამეცნიერო მუშაობის გააქტიურებას და კვლევის ხარისხის ამაღლებას, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართვას და დარგში ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვისათვის ხელშეწყობას.

ურბანისტები, როგორც ინფორმირებული და ქალაქის განვითარების უახლესი ტენდენციების მცოდნე პროფესიონალები, მუშაობენ საქალაქო საკითხების/ურბანისტიკის ისეთ სფეროებში, სადაც საჭიროა თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობა და სოციალურად რელევანტური ხედვის ქონა.

სადოქტორო პროგრამა შექმნილია TEMPUS RETHINKe პროექტის ფარგლებში და ემსახურება სამეცნიერო კადრების მომზადება ურბანისტიკაში, რისი შესაძლებლობა საქართველოში დღემდე არ არსებობდა.
პროგრამის წარმატებით გავლის შედეგად კურსდამთავრებულები შეძლებენ: სრულფასოვანი კვლევების ჩატარებას, პროექტების მომზადებასა და განხორციელებას, ასევე პროექტებისა და გეგმარებითი დოკუმენტების ექსპერტიზას ურბანული განვითარების სფეროში, ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი ფუნქციონირების თვალსაზრისით; დისციპლინათაშორისი

ინტეგრირებული მიდგომების გამოყენებას თანამედროვე ქალაქების წინაშე მდგარი კომპლექსური გამოწვევების შეფასებისა და გადაჭრის გზების შემუშავების კუთხით; ასეთი შესაძლებლობების გამომუშავებისათვის აუცილებელია სათანადო ცოდნის სინთეზი ქალაქის ფიზიკური გარემოსა და განაშენიანების ფორმების (არქიტექტურის, ლანდშაფტური არქიტექტურისა და გეგმარებითი სტრუქტურის) სფეროში, ისეთ მნიშვნელოვან ურბანულ კომპონენტებთან, როგორიცაა გეოგრაფია, ეკოლოგია, ეკონომიკა, სოციოლოგია და მოსახლეობის დემოგრაფია.

სადოქტორო პროგრამის მიზნები:

სადოქტორო პროგრამის „ურბანისტიკა“ მიზანია:

- ურბანისტიკის მკვლევარისმომზადება დარგის თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით საქალაქო განვითარებისაქტუალური პრობლემების გადასაჭრელად;
- საერთაშორისოდ აპრობირებული სტანდარტების შესაბამისიდოქტორის ინტელექტუალურ ზრდა;
- აკადემიური და კვლევითი რესურსების ურთიერთდაახლოება;
- სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება და კვლევის ხარისხის ამაღლება;
- საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართვა, დარგში ახალი ცოდნის შექმნა და დანერგვისათვის ხელშეწყობა;
- დოქტორანტმა შეიძინოსახალი ცოდნა, ‘ინსტრუმენტები’ და მეთოდები, რომელიც საშუალებას მისცემს იმუშაოს როგორც ინფორმირებულმა და უახლესი ტენდენციების მცოდნე პროფესიონალმა საქალაქო განვითარების/ურბანისტიკის ისეთ სფეროებში, სადაც საჭიროა თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობა და სოციალურად რელევანტური ხედვის ქონა.
- მისცეს დოქტორანტს საქალაქო სივრცის შესახებ სრულფასოვანი აკადემიური და პროფესიულ ცოდნა, რაც მათ საშუალებას მისცემს ადექვატურად გააცნობიეროს და შეაფასოს მიმდინარე ურბანული პროცესები, შეძლოს სათანადოდ დაგეგმოს, მოაწყოს და მართოს ქალაქის ტერიტორია და სოციალურ-ეკონომიკური გარემო.
- შეძლოს სრულფასოვანი კვლევების ჩატარება, პროექტების მომზადება და განხორციელება, ასევე პროექტებისა და გეგმარებითი დოკუმენტების ექსპერტიზა ურბანული განვითარების სფეროში, ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი ფუნქციონირების თვალსაზრისით;
- დისციპლინათაშორისი ინტეგრირებული მიდგომების გამოყენება თანამედროვე ქალაქების წინაშე მდგარი კომპლექსური გამოწვევების შეფასებისა და გადაჭრის გზების შემუშავების კუთხით;

- გამოუმუშავდეს სათანადო ცოდნის სინთეზის უნარი ქალაქის ფიზიკური გარემოსა და განაშენიანების ფორმების (არქიტექტურის, ლანდშაფტური არქიტექურის და გეგმარებითი სტრუქტურის) სფეროში, ისეთ მნიშვნელოვან საქალაქო კომპონენტებთან, როგორიცაა გეოგრაფია, ეკოლოგია, ეკონომიკა, სოციოლოგია და მოსახლეობის დემოგრაფია.

სწავლის შედეგები:

ურბანისტიკის დოქტორს მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა შესაძლებლობას აძლევს, მუშაობა წარმართოს საერთაშორისო სტანდარტის დონეზე, ობიექტური და ახლებური ხედვის საფუძველზე გადააფასოს არსებული ცოდნისა და ღირებულებების გარკვეული ნაწილი, კვლევა განახორციელოს საქალაქო პრობლემატიკის კონკრეტული მიმართულებით. შეუძლია იმ ინოვაციური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული; აცნობიერებსურბანისტიკის, როგორც სპეციფიკური ინტერდისციპლინური მეცნიერების ადგილსთანამედროვეცოდნისსისტემაში და მის სხვა მეცნიერებებთან ურთიერთკავშირს. კურსდამთავრებული ინტეგრირებულია საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში, რაც უზრუნველყოფილია სწავლის პროცესში მისი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და ფორუმებში მონაწილეობის გზით.

ცოდნა და გაცნობიერება; **უნარები;** **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**	**ურბანისტიკის** დოქტორი სიღრმისეულად ფლობს ამ დარგში გამოყენებულ თეორიულ და კვლევით მეთოდებს. იცისდარგისგანვითარებისძირითადი კანონზომიერებები, კლასიკურიდაუახლესიკონცეფციები; შეუძლია დარგის ახალი სამეცნიერო-ტერმინოლოგიური აპარატით ოპერირება.შეუძლია დარგის კვლევის მეთოდების და გამოყენებითი ასპექტების აქტუალიზება. სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს სრული ინფორმაცია მისი კონკრეტული სამეცნიერო საკითხების/პრობლემატიკის სფეროში არსებული მდგომარეობისა და უახლესი მიღწევების შესახებ. აქვს ფუნდამენტური ცოდნა და უნარები, რაც უზრუნველყოფს მის დასაქმებას ურბანისტიკის დოქტორისათვის შესაბამის პოზიციაზე. სიღრმისეულად ფლობს კვლევის თანამედროვე მეთოდებს, მათ შორის ინფორმაციის მიღების და დამუშავების მეთოდებს. ურბანისტიკის დოქტორს აქვს სამეცნიერო ჯგუფის ლიდერისათვის საჭირო ჩვევები; იცნობს სამეცნიერო კვლევისა და განვითარების

	ხელშემწყობი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მუშაობის პრინციპს და საგრანტო პროექტების, სამეცნიერო პუბლიკაციების შედგენის საკვანძო მომენტებს. ფლობს საგანმანათლებლო ტექნოლოგიების საშუალებით სწავლების პროცესის წარმართვის უნარს და ელექტრონული სწავლების საფუძვლებს. მონაწილეობს ელექტრონული სწავლებისა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში. კურსდამთავრებულმა იცის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე ძირითადი პროცესები, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის არსი, ბოლონიის პროცესის მახასიათებლები და მისი ძირითადი ამოცანები, საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების ძირითადი პრინციპები, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნები; ფლობს უმაღლეს სკოლაში სწავლების მეთოდების საფუძვლებს, აცნობიერების მის მიზნებსა და შედეგებს. **ურბანისტიკის** დოქტორს შეუძლია დასახოს საქალაქო განვითარების სფეროში კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზები, მას შეუძლია შეიმუშავოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები, მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული. შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს დარგობრივი კვლევათანამედროვე სამეცნიერო კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებით; შექმნას მეცნიერული ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომი და პუბლიკაციები; შეძენილი ცოდნა და კომპეტენციები წარმატებით გამოიყენოს პრაქტიკაში - საველემუშაობისას, კონკრეტული პროექტების განხორციელებისათვის, სამეცნიერო დაწესებულებასა თუ უნივერსიტეტში მუშაობისას. შეუძლიაწარმატებული სამეცნიერო თანამშრომლობა მომიჯნავე დარგების წარმომადგენლებთან; შეუძლია გააანალიზოს და კრიტიკულად შეაფასოს როგორც თავისი, ასევე სხვათა სამეცნიერო საქმიანობის შედეგები; შეუძლიაარა მარტო შეიძინოს და დააგროვოს ცოდნა, არამედ სხვებსაც გადასცეს იგი; შეუძლიაკვალიფიციურად მოამზადოს ურბანისტიკის დარგის ცალკეული სფეროების სასწავლო-მეთოდური მასალები; შეუძლია ურბანისტიკასა და მის მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებში მიღებული სამეცნიერო საქმიანობის

	შედეგების პროფესიული ექსპერტიზა და განზოგადება, შეუძლია სხვადასხვა პროექტების ხელმძღვანელობა და ინტერდისციპლინური გუნდის მუშაობაში მონაწილეობა და მისი კოორდინირება. სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს აკადემიურ გარემოში საჭირო ტექსტების (სამეცნიერო ნაშრომი, მოხსენება, რეცენზია და სხვ.) შექმნის, მათი შეფასებისა და პრეზენტაციის უნარი; შეუძლია სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადება მაღალრეიტინგული რეფერირებადი გამოცემებისათვის. კურსდამთავრებულს აქვს აკადემიურ გარემოში საჭირო ტექსტების (სამეცნიერო ნაშრომი, რეცენზია და სხვ.) ადეკვატური ლექსიკითა და ენობრივი სტილის გამოყენებით შექმნის, თანამედროვე სტანდარტების მიხედვით გაფორმების, პრეზენტაციის, მათი შეფასების, რეცენზირებისა და აკადემიური ფორმით არგუმენტირების უნარი. შეუძლია ელექტრონული სწავლების საფუძვლების, მეთოდოლოგიის, ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის კვლევა/სწავლებაშიდანერგვა. შეუძლია სხვადასხვა მიმართულების სამეცნიერო პროექტების შემუშავება ან/და დახვეწა პოტენციური პარტნიორებისა და დონორებისათვის მისაღები ფორმის მისაცემად. შეუძლია სილაბუსის და საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) შემუშავება და შეფასება ბოლონიის პროცესის, ევროპული სტანდარტების, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნების გათვალისწინებით; შეუძლია სწავლების თანამედროვე სტრატეგიების პრაქტიკულად განხორციელება, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მთავარი პრინციპებისა და კომპონენტების სასწავლო პროცესში დანერგვა; სწავლების ინტერაქტიური მეთოდების წარმატებით გამოყენება; შეუძლია შეადგინოს სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ-აღმზრდელობითი პროგრამები/პროექტები და სხვ. **ურბანისტიკის** დოქტორს შეუძლია დარგობრივი კვლევის შეჯამება, ყველა არგუმენტის ინტეგრაციით ლოგიკური, ნათლად ჩამოყალიბებული დასკვნის გამოტანა; მონაცემების კრიტიკული და ღრმაანალიზი, სათანადოდ შეფასება და ამ შეფასების დასაბუთება; რთული და არაერთმნიშვნელოვანი იდეებისა და

	მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება; სწორი, სტრატეგიულიდა ეფექტური გადაწყვეტილების მიღება. **ურბანისტიკის** დოქტორს შუძლია წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაცია მშობლიურ და უცხო ენაზე. შეუძლია საერთაშორისო სამეცნიერო წრეებთან პროფესიული კომუნიკაცია, დარგისადამის მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებში მიღებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგების პროფესიული კომენტირება და განზოგადება, კვლევის შედეგების სხვადასხვა ტიპის აუდიტორიასთან სათანადოდ წარმოჩენა; პროფესიული ამოცანების გადაჭრის მიზნით საკომუნიკაციო სტრატეგიების, ტაქტიკისა დარიტორიკის კანონების ადეკვატურად გამოყენება; დარგის მეტაენითოპერირება და წარმატებული სამეცნიერო თანამშრომლობა მომიჯნავე დარგების წარმომადგენლებთან. სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს აკადემიურ გარემოში საჭირო ტექსტების (სამეცნიერო ნაშრომი, მოხსენება, რეცენზია და სხვ.) შექმნის, მათი შეფასებისა და პრეზენტაციის უნარი; შეუძლია სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადება მაღალრეიტინგული რეფერირებადი გამოცემებისათვის; მას შეუძლია საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წინაშე ზეპირი მოხსენებების გაკეთება, დისკუსიებში მონაწილეობა, აქვს საკუთარი მოსაზრებებისა და არგუმენტების წამოყენების უნარი; აქვს სამეცნიერო პროექტების დაგეგმვისა და წარმართვისთვის აუცილებელი პროფესიული კომუნიკაციის უნარი; შეუძლია არქეოლოგიის, პალეოანთროპოლოგიის და პალეონტოლოგიის საინტერესო საკითხების ფართო საზოგადოებისათვის პოპულარულ ენაზე მოწოდება. **ურბანისტისკის** დოქტორს აქვს დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც მას ხელს უწყობს, დამოუკიდებლად დაგეგმოს და მართოს სწავლის და საკუთარი პროფესიული განვითარების პროცესი. იგი აცნობიერებს უწყვეტი განათლების მნიშვნელობას და შეუძლია დარგში არსებული ინფორმაციის

	კრიტიკული ანალიზი და სინთეზი, პრობლემის იდენტიფიცირება, სამეცნიერო სიახლეებისა და მიმუდმივად თვალის მიდევნება და კვლევაში მათი ინტეგრირების უნარი; შეუძლია მომიჯნავე მეცნიერებების კვლევის მეთოდებისა და ახალი აღმოჩენების კომბინირება, საჭიროების შემთხვევაში სამეცნიერო პროფილის შეცვლა და ახალ ვითარებასთან ადაპტირება. **ურბანისტიკის** დოქტორს აქვს მაღალი სოციალური და დემოკრატიული ფასეულობები,პატივს სცემს კულტურათა მრავალფეროვნებას, იცავს და ამკვიდრებს აკადემიური ეთიკის ნორმებს, რაც გულისხმობს: ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემას, სხვათა აზრის პატივისცემას, ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკის ნორმების დაცვას; მას შეუძლია ამ ღირებულებათა დამკვიდრების გზების ძიება.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სადოქტორო პროგრამა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, სემინარებისა და კოლოკვიუმების, საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობის, რეცენზირებად–რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების სტიმულირებითა და სხვა კვლევითი თუ სასწავლო აქტივობებით ხელს უწყობს და აუმჯობესებს სწავლისა და კვლევის შედეგების მიღწევის გზებს. აღნიშნულ აქტივობებში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი: ვერბალური, პრაქტიკული, წიგნზე და მასალაზე მუშაობის, ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზის მეთოდები, ჯგუფური მუშაობა და სხვ.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სასწავლო კომპონენტის შეფასება: სასწავლო კურსების შემთხვევაში, დოქტორანტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91-100 – ფრიადი, A; 81-90 – ძალიან კარგი, B; 71-80 – კარგი, C; 61-70– დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F.
შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში.

დაუშვებელია სტუდენტის (დოქტორანტის) სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით. სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს.

დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

დარგობრივი სასემინარო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით, სადაც ხელმძღვანელის მიერ იწერება შეფასება 60 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება მინიმუმ 31 ქულა), ხოლო სემინარის პრეზენტაცია ფასდება 40 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 21 ქულა), წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად.
სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.
დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება:

ა) "summa cum laude" - "ფრიადი" – შესანიშნავი ნაშრომი – შეფასების 91-100 ქულა;
ბ) "magna cum laude" - "ძალიან კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, შეფასების 81– 90 ქულა;
გ) "cum laude - "კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება, შეფასების 71– 80 ქულა;
დ) "bene" - "საშუალო" – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეფასების 61–70 ქულა;
ე)[1] "rite" - "დამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს, შეფასების 51– 60 ქულა;

[1] „ა”-„ე” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი;

ვ)[2] "insufficienter"-"არადამაკმაყოფილებელი" – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; შეფასების 41–50 ქულა;
ზ)[3] "sub omni canone" - "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს, შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

კვლევითი კომპონენტის შეფასება: დოქტორანტი ვალდებულია გაიაროს ინტერნაციონალიზაცია, რომლის ფარგლებშიც საერთაშორისო რეცენზირებისათვის წარდგენილი სტატიის შეფასება ხორციელდება 20 ქულიანი სისტემით. ნაშრომი დადებითად ფასდება, თუ ის მოაგროვებს არანაკლებ 12 ქულას. შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა) შინაარსი (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: პრობლემის აქტუალობა; იკვეთება თუ არა დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, არის თუ არა ნათელი ავტორის მიზანი. არგუმენტაცია ზუსტი, კონკრეტული და კომპლექსური. კონცენტრირებულია თუ არა სტატია ძირითად საკვლევ საკითხებზე.

ბ) ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: ავტორის მიერყველაიდეის სრულად განვითარება. საკითხის სიღრმისეულად შესწავლა, საკვლევი საკითხის ამომწურავად შესწავლა. ავტორის პოზიცია გამყარებულია თუ არა ნათელი და სარწმუნო არგუმენტაციით. არის თუ არა საკმარისი რაოდენობის დამხმარე ლიტერატურა. არის თუ არა დამხმარელი ტერატურა სპეციფიკური და არა ზოგადი. გვაქვს თუ არა აკადემიური და მიმდინარე შრომების ბალანსი.

გ) მონაცემთა სარწმუნოობა (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: მონაცემების სისწორე. წყაროდ გამოყენებულია თუ არა კომპეტენტური ავტორის მიერ დაწერილი ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია კარგი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ. პირველ წყაროდან იღებს თუ არა ავტორი თანამედროვე მეცნიერების მონაცემებს. რამდენად ორგანულად ერწყმის ტექსტს მოყვანილი ციტატები. არის თუ არა მონაცემები მოყვანილი შესაბამისი წყაროებიდან და არის თუ არა ყველა ციტირებული წყარო აღნიშნული ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში.

დ) სტრუქტურა (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: არის თუ არა სტატია კარგად სტრუქტურირებული. კეთდება თუ არა მეტიაქცენტიყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე, ხოლო უფრო ნაკლები – შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მქონეზე.

---

[2] მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი;

[3] „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სტატია კარგად თუ არის ორგანიზებული და მისი ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. როგორია პარაგრაფიდან პარაგრაფზეგ ადასვლა. თითოეული პარაგრაფი სრულად თუ არის განვრცობილი.

ე) შედეგები (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: შედეგები რამდენად არის ახალი, მნიშვნელოვანი და დამაჯერებელი. შემუშავებულია თუ არა ახალი მიდგომა. არის თუ არა ახალი მონაცემები ახალი და სკვნებისათვის. ხომ არ არის დასკვნებში სუსტი ადგილები. ლოგიკურია თუ არა დასკვნები.

თუ ორი დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასება არის არანაკლებ 12 ქულა, დასკვნა დადებითია. თუ ერთი ექსპერტის შეფასება უარყოფითია, ხოლო მეორის დადებითი, სტატია ეგზავნება მესამე ექსპერტს. ორი უარყოფითი დასკვნის მიღების შემთხვევაში სტატია უბრუნდება დოქტორანტს დასამუშავებლად.

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:

ურბანისტები დასაქმდებიან როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში, ასევე არასამთავრობო დაწესებულებაში. მათ მიმართ მაღალია მოთხოვნა ქალაქ თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების მერიებში და ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოებში (მუნიციპალიტეტებში), ასევე შესაბამისი პროფილის სამინისტროებში (მაგ. ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის, გარემოს დაცვის) და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში. მათი დასაქმება მოსალოდნელია უმაღლესსაგანმანათლებლოანკვლევითდაწესებულებებში; ასევე კერძო სექტორში უძრავი ქონების, არქიტექტურის, მშენებლობისა და ქალაქგეგმარებით საქმიანობაში მონაწილე კომპანიებში; ურბანულ და მიწათსარგებლობის სფეროში მოქმედ საერთაშორისოსააგენტოებსა და სამოქალაქო სექტორში (არასამთავრობო ორგანიზაციები).

სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის:

დოქტორანტურის საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტისთვის შეადგენს 1000 ლარს.

სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი:

სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში უმეტესწილად მონაწილეობენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები და ასოცირებული პროფესორები; ასევე მოწვეული უცხოელი პროფესორები.

პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ მუშაობას უზრუნველყოფს თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი); ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, I კორპუსი) - https://www.tsu.ge/ka/library; თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალები -https://e-learning.tsu.ge/ ; თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა. https://www.tsu.ge/ka/library/page/893 ; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვა.

არსებული რესურსი (პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი, სამეცნიერო კავშირები, ინფრასტრუქტურა), დოქტორანტებს საშუალებას აძლევს განავითარონ სამეცნიერო კარიერა ქალაქის მართვასა და დაგეგმვაში, ურბანისტიკაში. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს რეალური ბაზა დოქტორანტების მოსამზადებლად, მათთვის ფართო სამეცნიერო ინტერესებისა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ცოდნის მისაცემად. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში დოქტორანტი იძენს თანამედროვე სტანდარტებით კვლევის ჩვევებს, მიღებული ცოდნის გარკვეულ ეტაპზე და კონკრეტული მიმართულებით აკუმულაციის უნარს.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა:
სადოქტორო პროგრამას ფინანსურად უზრუნველყოფს თსუ და გაწერილია ფაკულტეტის ბიუჯეტში.

დოქტორანტის დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობა:

- სასწავლო კომპონენტის სრულად შესრულება (60 კრედიტი);
- სამი სამეცნიერო კვლევითი პროექტის წარდგენა დარგობრივი კომისიის წინაშე;
- საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების ვალდებულება (თსუ-ს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის გათვალისწინებით, დოქტორანტს აქვს საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების

ვალდებულება. სახელდობრ, დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული შემდეგი სახის ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება - რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში).

აკადემიური კეთილსინდისიერება:

აკადემიურ კეთილსინდისიერებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.

დოქტორანტმა:

- უნდა წარმოადგინოს დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები;
- არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება.

იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოთხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, დოქტორანტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სანქცია შეიძლება იყოს როგორც ნაშრომის ხელახლა მომზადება, ასევე სასწავლო კურსში არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღება.

საჯარო დაცვაზე ნაშრომის წარდგენამდე დოქტორანტი ვალდებულია საკუთარი ნაშრომი ატვირთოს **პლაგიატის** დეტექციის პროგრამაში.

დამატებითი ინფორმაცია:

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, სადოქტორო პროგრამას ყოველწლიურად შეუძლია მიიღოს არაუმეტეს 5 სტუდენტისა.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკულ მეცნიერებათა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ურბანისტიკა
სწავლების საფეხური: დოქტორანტურა
კრედიტების რაოდენობა: 60 ECTS
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი იოსებ სალუქვაძე;
პროფესორი ანტონიო კასტელბრანკო

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 11/08/2016; № 88/2016
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2016-2017

პროგრამის სტრუქტურა

სავალდებულო კურსები / აქტივობები– 40 კრედიტი (ECTS)				
№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტები ECTS/სთ.	სემესტრი	ლექტორი/ები
1	პროფესორის ასისტენტობა	5/125	შემოდგომა/გაზაფხული	დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი ან სხვა სასწავლო კურსის ლექტორ(ებ)ი
2	დარგობრივი სემინარი	5/125	შემოდგომა/გაზაფხული	სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი; დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი
3	აკადემიური წერა	5/125	შემოდგომა/გაზაფხული	--
4	კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში	5/125	შემოდგომა/გაზაფხული	იაგო კაჭკაჭიშვილი ნინო დურგლიშვილი

	- ემპირიული კვლევის მეთოდები[4]			ლია წულაძე დავით სიჭინავა დავით სვანაძე ხათუნა მაისაშვილი თეონა მატარაძე რევაზ ჯორბენაძე ალექსანდრე კუხიანიძე კორნელი კაკაჩია
5	სადოქტორო კვლევის/პროექტის დიზაინი	10/250	შემოდგომა/გაზაფხული	იოსებ სალუქვაძე
6	კვლევის მეთოდები ურბანისტიკაში	10/250	შემოდგომა/გაზაფხული	დავით სიჭინავა
არჩევითი კურსები– 20 კრედიტი (ECTS)				
1	ინფორმაციულსაკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა	10/250	შემოდგომა/გაზაფხული	--
2	მეცნიერების მენეჯმენტი	5/125	შემოდგომა/გაზაფხული	--

[4] ამ კურსის გასავლელად მნიშვნელოვანია დოქტორანტს ჰქონდეს ცოდნა, რომელიც შეესაბამება მაგისტრატურის საგანამანათლებლო პროგრამაში შემოთავაზებულ სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები“ გაწერილ კომპენტენციებს . თუ მას შესაბამისი კომპენტენცია არ გააჩნია, მაშინ ის შესაბამისი პროგრამის მაგისტრატურის საფეხურზე გადის ზემოხსენებულ კურსს და შემდეგ ირჩევს სასწავლო კურსს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში.

3	საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების თანამედროვე მეთოდები	**10/250**	შემოდგომა/გაზაფხული	--
4	მონაცემთა ვიზუალიზაცია და ანალიზი გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების (გის) გამოყენებით	**10/250**	შემოდგომა/გაზაფხული	**ვლადიმერ ჩხაიძე**
კვლევითი კომპონენტი				
1	სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1			
2	სამეცნიერო კვლევითი პროექტი 2			
3	სამეცნიერო კვლევითი პროექტი 3			
4	სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა			

პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი № 1

განაცხადის ფორმა

სადოქტორო -კვლევითი პროექტის გეგმა (პროსპექტუსი)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სახელი, გვარი:

სადოქტორო პროგრამა:

სადოქტორო კვლევითი პროექტის სათაური:

ა) საკვლევი თემა:

(განსაზღვრეთ საკვლევი თემა და დაასაბუთეთ მისი აქტუალობა).

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 200

ბ) კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები, ან/და ჰიპოთეზები (საჭიროების შემთხვევაში).

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 150

გ) კონცეპტუალური/თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა:

(წარმოადგინეთ ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი თემის შესახებ არსებულ ცოდნას და ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას).

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 500

დ) მეთოდოლოგია და კვლევის განხორციელების ეტაპები:

(აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საშუალებით იქნება მიღწეული კვლევის მიზანი. სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400

ხელმოწერა:

თარიღი: